

დამოუკიდებლად ცხოვრებისა და ყოველდღიური უნარების  
შეფასება ფსიქოზის მქონე პაციენტებში

თამარ ჩინჩალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე  
სოციალური ფსიქიატრის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016 წელი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჩინჩალაძე

25.06.2016

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს, განვსაზღვროთ რამდენად აქვთ შენარჩუნებული ყოველდღიური უნარები და რამდენად დამოუკიდებლად შეუძლიათ საკუთარი თავის მომსახურება, ფსიქოზის მქონე პაციენტებს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-მა ადამიანმა, რომელთა დიაგნოზიც იყო შიზოფრენია. იმისათვის რომ შემედარა და გამეანალიზებინა ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის გავლენა, 10 პაციენტი შეფასდა მწვავე ფსიქიატრიულ განყოფილებაში, ხოლო დანარჩენი 10 შეფასდა გრძელვადიან განყოფილებაში.

შეფასება მოხდა ფუნქციონირების გლობალური შეფასების სკალით-ფგმს (GLOBAL ASSESSMENT OF FUNCTIONING (GAF) SCALE). და ასევე გამოვიყენე სოციალური უნარ-ჩვევების შეფასების კითხვარი, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი რესურსებით სარგებლობას, ინტერპერსონალურ უნარ-ჩვევებს, ჰიგიენისა და თავის მოვლის უნარებს

კვლევის შედეგად მწვავე განყოფილებაში მყოფი პაციენტების უმეტესობა მაღალ ფუნქციურები იყვნენ და შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება ან მცირე მხარდაჭერას საჭიროებდნენ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით გრძელვადიან განყოფილებაში მყოფ ადამიანებზე. მათ უმეტესობას დამოუკიდებლად საკვების მომზადება, პირადი ჰიგიენის დაცვა, მობილური ტელეფონის და ბანკომატის გამოყენება არ შეეძლოთ.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია შიზოფრენიის მქონე პირებთან რეაბილიტაციის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ყოველდღიური უნარ-ჩვევების შეფასებასა და საჭირო უნარების

ტრენინგს. განსაკუთრებით მათთვის ვინც ხანგრძლივი დაყოვნების განყოფილებაში იმყოფებიან, რათა მოხდეს მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში დაბრუნების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შიზოფრენია, ყოველდღიური უნარ-ჩვევები, რეაბილიტაცია

## Abstract

The aim of the research is to determine how much patients with psychosis maintain daily living skills and ability for independently self-service,.

20 people with diagnosis of schizophrenia were selected for the study. To analyze the impact of the length of hospital stay, 10 patients were assessed in the acute psychiatric units, and the remaining 10 were evaluated in the long term unit.

For the assessment of daily living skills and independent self-care ability, I used the Global Assessment of Functioning Scale- GAF and the Social Skills Assessment Questionary, which reflects an ability to use public resources, interpersonal skills, health and self-care skills.

The research results show that patients from the acute department are highly functional and able either to live independently or need a little support, while the results of the long term unit patients are significantly modest. Most of them could not be able to perform daily activities independently like food preparation, managing personal hygiene, usage of mobile phones and bank services.

Based on the results of the survey it is recommended to enhance attention to the assessment and development of every day activities and daily living skills in the rehabilitation programs for the patients with schizophrenia. This applies especially to long hospitalized patients with schizophrenia, in order to improve their everyday functioning and promote community reintegration.

Key words: schizophrenia, everyday skills, rehabilitation

## მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა პირს. განსაკუთრებული მადლობა პაციენტებს, კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ნდობისათვის.

თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრისა და ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის, მწვავე ფსიქიატრიული განყოფილების თანამშრომლებს დიდ მადლობას ვუხდით, რათა დამეხმარნენ პაციენტების მოძიებაში.

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელ ნანა ზავრადაშვილს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისთვის.